პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---თებერვალი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დიდებას ტერიტორიაზე, სულხან-საბა ორბელიანის I ჩიხის მონაკვეთისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სულხან-საბა ორბელიანის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, დიდებას ტერიტორიაზე, სულხან-საბა ორბელიანის I ჩიხის მონაკვეთს და მასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს სულხან-საბა ორბელიანის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:469449 Y:4613081
სულხან-საბა ორბელიანის ქ.
სულხან-საბა ორბელიანის ქ.
X:469460 Y:4613037
X:469209 Y:4612987

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032502234**
თარიღი: **22/01/2025**

გაცნობებთ, რომ მ/წლის 22 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტის უფროსთან, ნინო ბახიასთან სატელეფონო კონსულტაციის დროს ცნობილი გახდა, რომ დეპარტამენტი ახორციელებს ნუმერაციის მოწესრიგების პროცესს ვაკის რაიონში, დიდებას ტერიტორიაზე არსებულ სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე. როგორც დგინდება, სულხან-საბა ორბელიანის I ჩიხი განვითარებულია და მის მიმდებარედ წარმოქმნილია უსახელო გეოგრაფიული ობიექტი. ვინაიდან I ჩიხი მდებარეობს უშუალოდ სულხან-საბა ორბელიანის ქუჩის გაგრძელებაზე და მის მიმდებარედაა წარმოქმნილი უსახელო ობიექტი, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილია სულხან-საბა ორბელიანის I ჩიხს მიენიჭოს სულხან-საბა ორბელიანის ქუჩის სახელი (გაგრძელდეს ქუჩა) ხოლო უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს ეწოდოს სულხან-საბა ორბელიანის I ჩიხის სახელი.

გთხოვთ, ხსენებული საკითხის სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის უახლოეს სხდომაზე განსახილველად საჭირო ღონისძიებების გატარებას.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-0325027123**
თარიღი: **27/01/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ქალბატონ ნინო ბაგაშვილს

როგორც მოგეხსენებათ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას უწყვეტი კომუნიკაცია აქვს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურთან, რათა დედაქალაქში განხორციელდეს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დამისამართების პროცესი. მ/წლის 22 იანვარს სამსახურის უფროსთან, ნინო ბახიასთან სატელეფონო კონსულტაციის დროს ცნობილი გახდა, რომ დეპარტამენტი ახორციელებს ნუმერაციის მოწესრიგებას ვაკის რაიონში, დიდებას ტერიტორიაზე არსებულ სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე.
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ შესწავლილ იქნა ზემოხსენებული ტერიტორია.
მოგმართვთ თხოვნით, გამოგვიგზავნოთ სულხან-საბა ორბელიანის ქუჩის (გაგრძელდეს ქუჩა) და სულხან -საბა ორბელიანის I ჩიხის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

(8)

წერილის ნომერი: **16-0125038989**
თარიღი: **07/02/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

17-0325038875-03.

17(ბნ-ს).

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 27.01.2025 წლის #03-0325027123 (27.01.2025 წ. #14-01250273194-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი